

ଲେଖକ



ოსამუ დაძაი

აღარ ვივარგებ  
ადამიანად

ოლეგი  
გადამისა

ოსამუ დაძაი  
ალარ 3035რგეპ ადამიანად

## 太宰 治 人間失格

Osamu Dazai  
NO LONGER HUMAN

იაპონურიდან თარგმნა თამთა ბოკერიამ

JAPAN FOUNDATION  國際交流基金

წიგნი გამოიცა იაპონიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

後援：独立行政法人国際交流基金

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-863-0

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

შესავალი .....	7
ჩანაწერების პირველი ნაწილი .....	11
ჩანაწერების მეორე ნაწილი .....	27
ჩანაწერების მესამე ნაწილი .....	77
ბოლოთქმა .....	139



## შესავალი

მე იმ კაცის სამი ფოტოსურათი მაქვს ნანახი.

ერთ-ერთი ფოტო, როგორც ამბობენ, ბავშვობის დროინდელია. ფოტოზე ათიოდე წლის ბიჭუნა გარშემორტყმულია გოგონებით (რომლებიც, სავარაუდოდ, მისი დები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ან ბიძაშვილები არიან). ბიჭი გუბურის პირას დგას, ზოლიანი ჰაკამა<sup>1</sup> აცვია, თავი ოდნავ მარცხნივ აქვს გადახრილი და რაღაც საძაგლად იღიმის. რატომ საძაგლადო, მკითხავს ზოგიერთი ბრიყვი (ვგულისხმობ მათ, ვინც სილამაზეს სიმახინჯისგან ვერ არჩევს) და სრულიად უემოციო, არაფრისმთქმელი გამომეტყველებით დამატებს, რა საყვარელი ბიჭუნააო. მის მიმართ ასეთი საქებარი სიტყვების გამეტება, ვფიქრობ, აზრს სრულიად მოკლებულია. ამ ბავშვის ღიმილიან სახეზე ნამდვილად არის რაღაც ისეთი, რასაც მომზიბულელს უწოდებენ, თუმცა ის, ვისაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია მშვენიერებასთან, ვისაც სილამაზისა და სიმახინჯის ერთმანეთისგან გარჩევა უსწავლია, ფოტოს მხოლოდ ერთხელ შეავლებს თვალს, უსიამოვნოდ წაიჩურჩულებს, ეს რა საზიზღარი ბავშვიაო და შემდეგ ამ ფოტოს ისე ამრეზით მოისვრის განზე, თითქოს ჭიაყელას იშორებდეს თავიდან.

---

<sup>1</sup> წელს ქვემოთ ჩასაცმელი განიერი ტრადიციული სამოსი.

ამ ბავშვის სახეს რაც უფრო აკვირდები, მით მეტად გიპურობს უცნაური, ავის მომასწავებელი შეგრძნება და ხვდები, რომ რასაც უცქერ, სულაც არაა მოღიმარი სახე, რადგან ბავშვს საერთოდ არ ეღიმება. ამის დასტურია, თუნდაც, მისი დგომის მანერა – ის ფეხზე დგას და ორივე ხელი მუშტებად აქვს შეკრული. ამ პოზაში ადამიანებს, როგორც წესი, არასოდეს ეღიმებათ. იფიქრებ, რომ ეს მაიმუნია და მაიმუნის მოღიმარი სახე, ზედ უშნოდ რომ დასტყობია ნაოჭები. შეიძლება ვინმერ ჩათვალოს, პატარა ბიჭუნას ლიმილის-გან სახეზე ორმულები და ნაოჭები გასჩენიაო, მაგრამ ასე არ არის. მისი გამომეტყველება რაღაც გაუგებარ, გულის ამრევ ზიზღს იწვევს. ბავშვის ასეთი უცნაური სახე არასოდეს მინახავს.

მეორე ფოტოსურათზე შშვენიერი გარეგნობის ყმანვილი ჩანს. ეტყობა, რომ ჯერ კიდევ სწავლობს, ოლონდ როდინდელი ფოტოა, ზუსტად არ ვიცი, სკოლის დამამთავრებელ კლასში ან ინსტიტუტში სწავლის დროს უნდა იყოს გადალებული. თავად ყმანვილი წარმოუდგენლად მომხიბლავია. უცნაურად გზაფრავს კიდეც მისი გარეგნობა და ეჭვი გიჩნდება, რომ ეს სახე ცოცხალ ადამიანს არ ეკუთვნის. არადა, სტუდენტური უნიფორმა აცვია, გულის ჯიბიდან დაკეცილი ქათქათა ცხვირსახოცი მოუჩანს, მოწნულ სავარძელში ჩამჯდარა და ფეხი ფეხზე გადაუდვია. ის ამ ფოტოზეც იღიმის. მართალია, ამჯერად დაჯღანულ-დანაოჭებული მაიმუნივით აღარ იყურება და მომაჯადოებელი, ძალზე ოსტატურად მორგებული ლიმილი დასთამაშებს სახეზე, მაგრამ არის რაღაც არაადამიანური მის ლიმილში. მასში სულ ცოტათიც კი არ იგრძნობა კეთილშობილება, ან სისხლსავსე ცხოვრებით ტკბობა, ან იმით კმაყოფილება, რომ ადამიანად გაჩნდა. თითქოს, ამ ბიჭის არსებობას ჩიტის წონაც არ აქვს, არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ისეთივე მსუბუქი და უფასურია, როგორც ბუმბულის ღერი. მისი ლიმილი კი თეთრ ქაღალდზე გასმული ერთი უბრალო ხაზია და მეტი არაფერი. რაღა თქმა უნდა, ამგვარი ლიმილი სრულ სიყალბედ აღიქმება, ამიტომაც მის გამომეტყველებას საბოლოოდ მაინც

ვერაფერს დაარქებუ, ეს არც მედიდურობაა, არც ფუქსავატობაა, არც მამათმავლური ნაზი მზერა და იმასაც ხვდები, რომ ეს ბიჭი მოდას აყოლილი დარღიმანდიც ვერაფრით იქნება. ფოტოს კარგად რომ დააკვირდები, იგრძნობ, რომ ამ ყმაწვილის მომხიბვლელობა ისე გზაფრავს და გაშინებს, თითქოს, მოჩვენება დაინახე. ამგვარი უცნაური გარეგნობის ახალგაზრდა არასოდეს შემხვედრია.

სულ მთლად შემაძრნუნებელია მესამე ფოტოსურათი. მასზე შეუძლებელია ამ კაცის ასაკის დადგენა, თუმცა ეტყობა, რომ თმაში უკვე ჭაღარა აქვს შეპარული. ოთახში საშინელი სიბინძურეა (ფოტოზე აშკარად ჩანს სამ ადგილას ჩამონგრეული კედელი), კაცი ითახის კუთხეში ზის და ორივე ხელი ჰიბაჩის<sup>2</sup> პატარა გამათბობელზე აქვს მიფიცხებული). ამჯერად არ იღიმის. მისი მზერა საერთოდ არაფერს გამოხატავს, თითქოს, ფოტოზე მიცვალებულია გამოსახული, რომელიც ხელებს ჰიბაჩიზე ითბობს. რაღაცნაორი ავბედითი სიბილნის სუნი ასდის ამ ფოტოსურათს. თუმცა მასში მხოლოდ ეს არაა შემაძრნუნებელი – მამაკაცის თავი ძალიან დიდი ზომისაა. მისი სახის ნაკვთებს დეტალურად ათვალიერებ და ხედავ ჩვეულებრივ შუბლს, შუბლზე ნაოჭებს, წარბებს, არაფრით გამორჩეულ თვალებს, ცხვირს, ჰირს და ნიკაპს, ოღონდ მის სახეს გამომეტყველება საერთოდ არ აქვს, ისეთი სახეა, რომ ვერ დაიმახსოვრებ, არავითარი გამორჩეული ნიშანი არ გააჩნია. ფოტოს ვუყურებ, შემდეგ თვალებს ვხუჭავ და ეს სახე მაშინვე მავინყდება. გონიერაში შემიძლია აღვიდგინო ის, თუ როგორია ამ ოთახის კედლები და პატარა გამათბობელი, მაგრამ ოთახში მყოფი მთავარი სუბიექტის გახსენებას ვერაფრით ვახერხებ და მისი სახე სრულიად იშლება ჩემი მეხსიერებიდან. ვერავინ შეძლებს, დახატოს ასეთი სახის მქონე ადამიანის სურათი ან, თუნდაც, კარიკატურა. თვალებს ვახელ და ვცდილობ, ახლა თვალგახელილმა წარმოვიდგინო მისი სახე, მაგრამ უშედეგოდ, არაფერი იცვლება, მეტიც, თვალს რომ

<sup>2</sup> ჰიბაჩი – ერთგვარი ტრადიციული ქვანახშირის გამათბობელი.

ვახელ, კიდევ ერთხელ ვაკვირდები ფოტოს და მაინც არაფერი გა-  
მომდის, ეს სახის ნაკვთები არ მამახსოვრდება. ძალზე უსიამოვნო,  
გამაღიზიანებელი შეგრძნება მიპყრობს და სურვილი მიჩნდება, ამ  
სახეს თვალი ავარიდო ისე, რომ საერთოდ ველარ დავინახო.

ერთი სიტყვით, მიცვალებულის სახე უფრო მეტყველია, ვიდ-  
რე ამ კაცისა. თითქოს, ადამიანის ტანს ჯაგლაგი ცხენის თავი აქვს  
მიბმული. უცქერ და ხვდები, რომ არის მასში რაღაც ამაზრზენი  
სიავე, რომელიც თავს საშინლად გაგრძნობინებს. კაცის ასეთი უც-  
ნაური სახე აქამდე ერთხელაც არ მინახავს.

## ჩანაწერების პირველი ნაწილი

მე ძალზე სამარცხვინო ცხოვრებით ვიცხოვრე.

ნარმოდგენა არ მაქვს, რა არის ჩვეულებრივი ადამიანური ყოფა.

პროვინციაში დავიბადე, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. საკმაოდ დიდი ვიყავი, პირველად რომ ვნახე მატარებელი. ისე ავდი-ჩამოვდიოდი რეინიგზის სადგურის ხიდზე, ვერ ვხვდებოდი, რომ ეს ხიდი მეორე მხარეზე უსაფრთხოდ გადასასვლელად არსებობდა – ზედ ლიანდაგებზე რომ არავის ევლო. მეგონა, მისი დანიშნულება მხოლოდ ის იყო, რომ გარემო უფრო ხალისიანი, მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახეადა – ზუსტად ისე, როგორც უცხოურ გასართობ პარკებშია. საკმაოდ დიდხანს მეგონა ასე. ხიდზე ასვლა-ჩამოსვლა მშვენიერ გასართობად მიმაჩნდა და ვფიქრობდი, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო რამ იმ მომსახურებათა შორის, რომლებსაც სარკინიგზო კომპანია გვთავაზობდა. ერთხელაც აღმოვაჩინე, რომ სადგურზე ამ ხიდის მეშვეობით მგზავრები ლიანდაგებზე გადავლას არიდებდნენ თავს და გავაცნობიერე, ამას რაოდენ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ანუ ის ერთი ჩვეულებრივი ხიდი ყოფილა და მეტი არაფერი. თითქოს, უცებ ამეხილა თვალი და იმ წუთიდან მის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დავკარგე.

ბავშვობაში, როდესაც დასურათებულ წიგნებში მეტროს ნახატებს ვათვალიერებდი, არასოდეს მიფიქრია, რომ მისი შექმნა

პრაქტიკულმა მიზნებმა განაპირობა. ესეც ადამიანის უცნაური და ახირებული გასართობი მეგონა. ჩემი აზრით, მიწისქვეშა ვაგონებით მგზავრობა ბევრად უფრო თავშესაქცევი და სახალისო იყო, ვიდრე მიწისზედა ტრანსპორტით.

სუსტი ჯანმრთელობის გამო ხშირად ვავადმყოფობდი და ლოგინს ვიყავი ხოლმე მიჯაჭვული. ვიწევი და გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როგორი უინტერესო და ერთფეროვანი იყო ლეიბის, ბალიშისა და საბნის პირებზე გამოსახული ორნამენტები. უკვე თითქმის ოცი წლისამ მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ თითოეული მათგანი ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთი იყო. ეს ამბავი ადამიანთა ერთგვარ შეზღუდულობად ჩავთვალე, რამაც ძლიერ დამალონა და გული დამწყვიტა.

მე არ ვიცოდი, რა იყო შიმშილის გრძნობა. ოლონდ არ იფიქროთ, თითქოს, ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ცხოვრება მუდამ ულხინდათ და ნებისმიერი ყოფითი პრობლემა მოგვარებული ჰქონდათ. ამას სულაც არ ვგულისხმობ, ეს ჩემი მხრიდან ნამდვილი სიბრიყვე იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ვერაფრით ვიაზრებდი, რას ნიშნავდა შიმშილის შეგრძნება. უცნაურად უდერს, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, კუჭი ცარიელი რომ მქონდა. როცა დაწყებით კლასებში ვსწავლობდი და მერეც, საშუალო საფეხურზე რომ გადავედი, საკმარისი იყო, სკოლიდან სახლში დავბრუნებულიყავი, ჩემიანები მაშინვე ფაციუცის ინყებდნენ და რას აღარ მთავაზობდნენ, ნუთუ, არ მოგშივდაო, მეუბნებოდნენ, ჩვენც გვახსოვს, როგორ გვშიოდა ხოლმე, სკოლის მერე სახლში რომ ვბრუნდებოდითო. აი ნახე, დაშაქრული მარცვლებიც გვაქვს, ბისკვიტებიც და ფუნთუშებიცო. ძალიან მინდოდა, მათთვის მეამებინა და ხშირად ასეც ვიქცეოდ. პირფერულად წავიბურტყუნებდი, კი, მომშივდა-მეთქი და ათიოდე დაშაქრულ მარცვალს მაშინვე გადავსანსლავდი, თუმცა ვერაფრით ვხვდებოდი, ზუსტად როგორი იყო შიმშილის გრძნობა.

ნამდვილად ბევრს ვჭამდი, მაგრამ ერთხელაც არ მახსენდება, ეს შიმშილის გამო მექნა. ვჭამდი, თუ რამე იშვიათს ან ძვირფასს

გადავაწყდებოდი და სადმე სტუმრად თუ მოხხდებოდი, გეახლებოდით ყველაფერს, რასაც მთავაზობდნენ. თავს ძალას ვატანდი მაშინაც კი, როცა ჭამა აღარ შემეძლო.

ბავშვობაში ჩემთვის ყველაზე მტანჯველი მომენტი ოჯახთან ერთად სადილობა იყო. სოფლის სახლში ჩვენი ათსულიანი ოჯახი საჭმელს ყოველთვის ერთად ჭამდა. პატარა სასადილო მაგიდას-თან ორმწვრივად, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით. მე, როგორც ყველაზე უმცროსს, ადგილი სულ ბოლოში მქონდა მიჩენილი. იმ ჩაბნელებულ ოთახში, სადაც ვჭამდით ხოლმე, ათი ადამიანი ერთდღროულად, უხმოდ ილუქმებოდა, რაც ყოველთვის უცნაურ, შიშის მომგვრელ ემოციებს აღმიძრავდა და ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს, სიცივისგან მაჟრიალებდა. გარდა ამისა, ეს ძველი, დრომოქმული წესჩვეულებების მიმდევარი ოჯახი გახლდათ და, შესაბამისად, წინასწარ მოფიქრებული და წესისამებრ დადგენილი იყო ის, თუ რა უნდა გვეჭამა. ამიტომაც არასდროს მქონია რამე იშვიათი ან ძვირფასი საკვების მოლოდინი. რაც დრო გადიოდა, ერთად სადილობა სულ უფრო და უფრო საშინელ ძრნოლას მგვრიდა. იმ ჩაბნელებული ოთახის მაგიდასთან ბოლო ადგილას ვჯდებოდი ხოლმე და თან სულ მაკანეალებდა ისე, როგორც სიცივისაგან ემართება ადამიანს. საჭმელს პირში პატარ-პატარა ლუკმებად ვიტენიდი და ვფიქრობდი, ნეტავ, ადამიანები დღეში სამჯერ რისთვის ჭამენ, თანაც ჭამის დროს ისეთი მჭმუნვარე სახეები რატომ აქვთ, თითქოს, რაღაც რიტუალს ასრულებენ-მეთქი. რატომ ხდება, რომ მთელი ოჯახი დღეში სამჯერ, წინასწარ განსაზღვრულ დროს, ამ ჩაბნელებულ ოთახში იკრიბება, უკვე განაწილებულ ადგილებზე ერთმანეთის პირისპირ, მნერივად ჯდება, რომც არ შიოდეს, მაინც ჭამს და თავჩაღუნული უხმოდ ილუქმება? ხანდახან ისიც კი მეფიქრებოდა, ალბათ, სახლში ავი სულები დაძრნიან, ესენი კი მათ დასაფრთხობად შელოცვას კითხულობენ-მეთქი.

ამბობდნენ, საჭმელს თუ არ შეჭამ, მოკვდებიო, რაც მე საშინელ მუქარად მეჩვენებოდა. ცრურწმენა კი იყო (დღემდე ვფიქრობ,

რომ ეს ჩვეულებრივი ცრურნენაა და მეტი არაფერი), ოლონდ ჩემში ყოველთვის შფოთვასა და ძრწოლას იწვევდა. ის აზრი, რომ ადამიანი მოკვდება, თუ არ შეჭამს და რომ მან საკვების მოსაპოვებლად უნდა იშრომოს, რატომძაც ძალზე გაუგებრად და საეჭვოდ მიმაჩნდა, თუმცა მასში უდავოდ გამოსჭვიოდა რაღაცნაირი ფარული მუქარა.

ვატყობ, დღემდე არ მესმის, რა არის ის, რაც ადამიანებს ამოძრავებს. მოსვენებას არ მაძლევს ის გრძნობა, რომ ბედნიერების ჩემული აღქმა ეწინაალმდეგება ამ სამყაროში ყველა სხვა ადამიანის წარმოდგენას ბედნიერების შესახებ. ამის გამო ღამლამობით ბორგვა, კვნესა და სიგიურის შემოტევები დამჩერდა. ნუთუ, შეიძლება ჩემზე ითქვას, რომ ბედნიერი ვარ? არადა, ბავშვობიდან მოყოლებული, არაერთხელ უთქვამთ, რა იღბლიანი ხარო, მე კი იმ მომენტებში სულ ჩემი ჯოჯოხეთური ყოფა მახსენდებოდა და ვფიქრობდი, რომ ვინც ამას მეუბნებოდა, პირიქით, სწორედ მათ უმართლებდათ ყველაფერში ისე, როგორც მე არასოდეს გამმართლებია.

ხანდახან მგონია, თითქოს, უბედურებების მთელ ათ ფუთას დავატარებ თან. ვფიქრობ, ჩემ გარშემო მყოფთაგან რომელიმეს აქედან ერთი მაინც რომ აელო თავის თავზე, უეჭველად სული ამოსძვრებოდა.

იმის თქმა მინდა, რომ არაფერი მესმის. ვერაფრით ვხვდები, ზოგადად, რაზე წუხან და დარდობენ ჩემ გარშემო მყოფი ადამიანები, რა შინაარსისაა მათი სადარდებელი ან რამდენად ძლიერია იგი. შესაძლოა, სულაც პრაქტიკული მნიშვნელობისაა, ანდა ისეთი რამაა, რომ, მაგალითად, კუჭს თუ ამოიგსებენ, მარტივად მოუგვარდებათ. სხვათა შორის, სწორედ ასეთი სადარდებელია ყველაზე მწარე და მტანჯველი, და იმდენად ძლიერი, რომ უცებ გადაწონის ჩემს ე.ნ. უბედურებების ათ ფუთას. სწორედ ასეთ დარდს შეუძლია, ადამიანს უკიდურეს ჯოჯოხეთში ამოაყოვინოს თავი. არაფერი მესმის, ვერ გამიგია, როგორ ხდება, რომ ისინი არც თავს იკლავენ და არც ჭკუდან იშლებიან. პოლიტიკურ პარტიებსაც კი ისე განიხილავენ, რომ

არც სასონარევეთილებაში ვარდებიან, არც არაფერი აშინებთ და მტკიცედ განაგრძობენ გადარჩენისთვის ბრძოლას. ნუთუ, არ იტან-ჯებიან? ეს სრულ ეგოისტებად ქცეული ადამიანები, ნუთუ, ერთხელ მაინც არ დაფიქრებულან ჭეშმარიტ ღირებულებებზე და ერთხელ მაინც არ შეპარვიათ ეჭვი საკუთარ თავში? და თუ ასეა, გამოდის, ცხოვრება ძალიან იოლი რამ ყოფილა.

განა ყველა ადამიანი ამგვარად არ არის მოწყობილი? იქნებ, სწორედ ასეც უნდა იყოს და მათზე უკეთესები არც უნდა არსებობდნენ, მაგრამ რაც არ ვიცი, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ნეტავ, ასეთებს ღამით ტკბილად სძინავთ და დილით მხნედ გრძნობენ თავს? როგორ სიზმრებს ხედავენ? საინტერესოა, ქუჩაში რომ დადიან, რაზე ფიქრობენ? ვითომ ფულზე? არა მგონია, მხოლოდ ფულზე ფიქრობდნენ. გამიგია, ადამიანი ჭამისთვის არსებობსო, მაგრამ არასოდეს მომიკრავს ყური იმ მოსაზრებისთვის, თითქოს, კაცი ფულისთვის ცოცხლობდეს, თუმცა შემთხვევას გააჩინია... მეჩვენება, რომ არც ეს საკითხი მესმის სრულფასოვნად და რაც მეტს ვმსჯელობ, მით უფრო გაუგებარი ხდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, სრულიად განსხვავებული ვარ დანარჩენებისგან და თან ერთადერთი ვარ ასეთი. ამის გამო ხშირად მიჰყრობს შიში და ძრნოლა. არასდროს გამომდის ჩემ გარშემო მყოფებთან ნორმალური საუბარი, არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა მათ და როგორ... თავს ვერაფერს ვუხერხებ.

ამის გამო მოხდა, რომ მასხარასავით მლიქვნელური მანქვა-გრეხა დავიწყე. ეს იყო ჩემი თავგანწირული მცდელობა, როგორმე მომეპოვებინა ადამიანთა კეთილგანწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების ძალიან მეშინოდა, ვხვდებოდი, მათ სრულ უგულებელყოფას ვერაფრით მოვახერხებდი. მლიქვნელური ნილაბი კი ის საშუალება იყო, რომელიც ცოტათი მაინც წამეშველებოდა მათთან ურთიერთობაში. ამიტომაც ყველას გამუდმებით ვთავაზობდი მასხარას ფარისევლურ ღიმილს, რაც ძალზე მტანჯველი აღმოჩნდა და ძვირადაც მიჯდებოდა. სახეზე ღიმილი კი მოვირგე, მაგრამ

შინაგანად კვლავინდებურად ისე შეძრნუნებული ვიყავი, რომ სიმწრისაგან ცივი ოფლი მასხამდა ხოლმე.

მასხოვს, ბავშვობაშიც და მერეც, წარმოდგენა არ მქონდა, რაზე წუხდნენ, საერთოდ რაზე ფიქრობდნენ ან რით სულდგმულობდნენ თვით ჩემი საკუთარი ოჯახის წევრები.

მათ მიმართ მხოლოდ შიშს ვგრძნობდი და ვერაფრით ვუძლებდი ამ მტანჯველ განცდას. შედეგად პროფესიონალ მანჭია-მასხარად ჩამოვალიბდი. თვალსა და ხელს შუა ვიქეცი ისეთ ბავშვად, ერთ მართალ სიტყვასაც რომ ვერაფრით დააცდენინებ.

ჩემს იმდროინდელ ფოტოსურათებზე, მათ შორის მათზე, სადაც ოჯახთან ერთად ვარ გადაღებული, ჩემ გარდა, ყველას სახეზე სერიოზული გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი. ფოტოებზე მხოლოდ მე ვიღირჩები, რაღაც საძაგლად ვიღმი. ალბათ, ესეც ჩემი, როგორც საბრალო მასხარას, ერთ-ერთი ბავშვური ნიღაბი იყო.

ჩემი ნათესავები რამეს რომ მეტყოდნენ, წესიერად პასუხს ვერ ვცემდი, რადგან მათი უმნიშვნელო საყვედურებიც კი მეხის გავარდნასავით მესმოდა ხოლმე და საშინლად მამწარებდა. სიტყვის შებრუნებას, აბა, როგორ გავუბედავდი ვინმეს. უმნიშვნელო საყვედურები იყო, მაგრამ ისე უღერდა, თითქოს, თვით წმინდა სისხლის საიმპერატორო საგვარეულოს შთამომავლები ღალადებდნენ ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტებას. სულ იმაზე მეფიქრებოდა, რომ მე, პირადად, ამ ჭეშმარიტების გაგების უნარი არ შემწევდა, მაშასადამე, კაცთა შორის ცხოვრების უფლებაც არ მქონდა. აქედან გამომდინარე, მათთან არც კამათი შემებლო და არც საკუთარი თავის დაცვა. თუ ვინმე რამე უსიამოვნოს მეტყოდა, ვთვლიდი, რომ ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, რადგან სწორად არაფერი მესმოდა. საყვედურებით სავსე თავდასხმებს უსიტყვოდ, ხმაგაკმენდილი ვუძლებდი, ოღონდ შინაგანად ეს ყოველივე ჭკუიდან მშლიდა და საზარელი შიშის განცდას კიდევ უფრო მიძლიერებდა.

რა თქმა უნდა, არავის სიამოვნებს, როცა საყვედურობენ ან ეჩუბებიან, თუმცა სხვადასხვა სიტუაციაზე დაკვირვებით ერთ

რამეში დავოსტატდი: გაბრაზებული ადამიანის სახეზე ყოველთვის შემიძლია ამოვიკითხო მისი მხეცური ბუნება, რაც ბევრად უფრო მზარავს, ვიდრე ლომის, ნიანგის ან დრაკონის სიმხეცე. როგორც ჩანს, ადამიანი, ჩვეულებრივ, ოსტატურად ნიღბავს თავის ჭეშმარიტად მხეცურ საწყისს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებს. მაგალითად მინდა მოვიყავნო ძროხა, რომელიც მშვიდად წევს მინდორზე და იცოხნება, უცებ კი მთელი ძალით იქნევს კუდს, რათა მუცელზე მჯდარ ბუზანკალებს დასცხოს და გასრისოს. ასევეა ადამიანიც – სიპრაზის შემოტევისას მოულოდნელად ავლენს საკუთარი ბუნების იმ მხარეს, რომელიც, ვფიქრობ, ძალზე შიშის მომგვრელია. პირადად მე ეს იმდენად მზარავდა, თმა ყალყზე მიდგებოდა ხოლმე. შინაგანად მანადგურებდა იმაზე ფიქრი, რომ შესაძლოა, ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მათი ჭეშმარიტი ბუნების სწორედ ამგვარ გამოვლინებას აქვს.

მუდამ შიშისგან ვცახცახებდი ადამიანთა წინაშე. მე თავად, როგორც ადამიანი, სულ მცირედითაც კი არასდროს ვყოფილვარ დარწმუნებული საკუთარ ნათქვამსა და ქმედებაში. ეს ჩემი სატკივარი გულის კუნჭულის პანაწინა ზარდახშაში გამოვეტე. იქ საგულდაგულოდ ვმალავდი ჩემს ნალველსა თუ ძრწოლას. მთელი მონდომებით, გულუბრყვილოდ ვთამაშობდი კეთილგანწყობილი ოპტიმისტის როლს, რისგანაც მხოლოდ ის მივიღე შედეგად, რომ ექსცენტრულ მასხარად ჩამოვყალიბდი.

მეგონა, კარგი იქნებოდა, ხალხს თუ გავაცინებდი და მნიშვნელობას არ ვანიჭებდი იმას, თუ რა გზით მივაღწევდი ასეთ შედეგს. ვფიქრობდი, გარშემო მყოფთა გაცინებას თუ შევძლებ, დიდი ალბათობით, მათთვის სულერთი იქნება, მათი ყოფის ნაწილი ვარ თუ არა და მათი ცხოვრების მიღმა რომ ვარსებობ-მეთქი. ჩემში ის აზრი მძლავრობდა, რომ ადამიანებს რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მოვხვედროდი თვალში. დაე, არაფერს წარმოვადგენდე, სულაც, ქარი ან ჰაერი გავხდები, ოღონდაც შემეშვან-მეთქი. ჩემი მასხარაობით გულიანად ვაცინებდი ოჯახს. განსაკუთრებით კი მოახ-

ლექტისა და მსახურებისთვის თავის მოქმნვას ვცდილობდი, რადგან ისინი ბევრად უცნაურები, ბევრად საძაგლები იყვნენ და უფრო მეტად მაშინებდნენ, ვიდრე ჩემი ოჯახის წევრები.

ერთხელ ზაფხულში მთელი ოჯახი ვაცინე. თხელი საზაფხულო კიმონოს ქვეშ წითელი შალის სვიტერი მეცვა და ასე დავსეირნობდი დერეფანში. ჩემმა უფროსმა ძმამ, რომელიც თითქმის არასდროს იცინოდა, ამის დანახვაზე გულიანად გადაიხარხა და მხიარულად, საოცრად გულის ამაჩუქებელი ხმით მითხრა, იო-ჩან, ეგ საერთოდ არ გიხდებაო. სხვათა შორის, რომ იცოდეთ, მთლად ისეთი შერეკილიც არ ვიყავი, შუა ზაფხულში შალის სვიტერი ჩამეცვა და მესეირნა, ან ვერ გამეგო, სიცხე იყო თუ სიცივე. სინამდვილეში მელავებზე ჩემი უფროსი დის წითელი გამაშები წამოვიცვი, საზაფხულო კიმონოდან ხელები ოდნავ გამოვყავი და შედეგად ყველაფერი ისე გამოჩნდა, თითქოს, სვიტერი მეცვა.

მამაჩემი პოლიტიკაში ჩართული საქმოსანი კაცი იყო და პერიოდულად ტოკიოში მიემგზავრებოდა საქმეების მოსაგვარებლად. მას უენოს რაიონის საკურაგის უბანში სააგარაკო სახლი ჰქონდა, სადაც თითქმის მთელ თვეს ატარებდა ხოლმე. უკან რომ ბრუნდებოდა, საჩუქრები ჩამოჰქონდა არა მარტო საკუთარი ოჯახის, არამედ ყველა ნათესავისთვის. აუარებელი საჩუქრის ყიდვა და ჩვენთვის ჩამოტანა მამაჩემის ერთგვარი ჰობი გახლდათ.

ერთხელ, ტოკიოში გამგზავრების წინა საღამოს, მამამ ბავშვები სასტუმრო ოთახში შეგვერიბა და სათითაოდ ყველას ღიმილით გვყითხა, თუ ვინ როგორ საჩუქარს ისურვებდა ამჯერად. მიღებულ პასუხებს ის სიტყვა-სიტყვით იწერდა პატარა წიგნაკში. საერთოდ, მამა ბავშვებს ასე გულიად იშვიათად გვექცეოდა.

– შენ რას იტყვი, იოძო? – მკითხა მან.

ენა დამება. ყოველთვის, როგორც კი მკითხავდნენ, რა გინდაო, მაშინვე მიქრებოდა ყოველგვარი სურვილი. სულერთია-მეთქი, გავიფიქრებდი. მჯეროდა, ისეთი არაფერი არსებობდა, რაც ჩემს გამხიარულებას შეძლებდა. თანაც, თუ ვინმე რამეს შემომთავა

ვაზებდა, უარის თქმა არაფრით შემეძლო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის რაღაც არანაირად არ ჯდებოდა ჩემს გემოვნებაში. იმის უნარი არ გამაჩინდა, რაც მძულდა, იმაზე მეთქვა, მძულს-მეთქი, ხოლო რაც მომზონდა, იმას ისე საცოდავად მივეპარებოდი ხოლმე და ისე გაუბედავად გავსინჯავდი, თითქოს, საშინლად მწკლარტე გემოსი იყო. ზოგადად, ასეთ დროს ძლიერ მთრგუნავდა ენით გამოუთქმელი შიშის გრძნობა. არასდროს შემეძლო ორი მოცემულობიდან ერთ-ერთის ამორჩევა. ჩემი აზრით, სწორედ ამგვარმა უუნარობამ განსაზღვრა ჩემი ხასიათის თავისებურება, რაც წლების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა იმისა, რომ ძალზე სამარცხვინო ცხოვრებით ვიცხოვრე.

მაშინ მამაჩემის წინაშე დარცხვენილი ვიდექი და ხმას ვერ ვიღებდი, რის გამოც მამას სახიდან მხიარული გამომეტყველება მაღლე გაუქრა და მითხრა:

– წიგნი ხომ არ გინდა? ანდა, ლომის ნიღაბი? მახსოვს, იმგვარი ნიღბები, ახალ წელს ლომების ცეკვის რიტუალზე რომ უკეთიათ ხოლმე, ასაკუსაში, საჩუქრების სავაჭრო დახლებზე იყიდებოდა. ისეთი ზომებიც ჰქონდათ, ბავშვებსაც რომ შეეძლოთ მორგება და თამაში. ხომ არ გინდა?

თავად შეკითხვამ „ხომ არ გინდა?“ გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდო. მანჭვა-გრეხით პასუხი ვერ გავეცი. ჩემმა მცდელობამ, თავი მასხარაობით დამეძვრინა, სრული კრახი განიცადა.

– ალბათ, წიგნი აჯობებს, – სერიოზული სახით მიუგო ჩემმა უფროსმა ძმა.

– მართლა? – მამას სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. ბლოკნოტი ხმაურით დახურა ისე, რომ შიგ აღარაფერი ჩაუნიშნავს.

ეს სავალალო მარცხი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რაკი მამა გავანაწყენე, ის უეჭველად მომიზღავდა საშინელ სამაგიეროს. ღამით, ლოგინში რომ დავწექი, ვფიქრობდი, ნუუ, სიტუაციის გამოსწორების არავითარი გზა არ არსებობს-მეთქი? თან შიშისგან მაკანკალებდა. ჩუმად ავდექი და სასტუმრო ოთახში გავედი. იმ

მაგიდის უჯრა გამოვალე, სადაც, წესით, ცოტა ხნის წინ მამაჩემს თავისი წიგნაკი უნდა შეენახა. წიგნაკი ამოვილე, სწრაფად გადავ-ფურცლე და ბოლოს იმ ადგილს მივადექი, სადაც მამას საჩუქრები ჰქონდა ჩანიშნული. წიგნაკის ფანქარი ენის წვერით დავასველე და მივაწერე ლომის ნიღაბი, შემდეგ წავედი და ლოგინში ჩავნე-ქი. საერთოდ არ მინდოდა ის ლომის ნიღაბი. სინამდვილეში წიგნი მერჩივნა, მაგრამ მეგონა, რადგან მამაჩემმა ისურვა, ეს ნიღაბი ეყიდა ჩემთვის, ჯობდა, დავყოლოდი მის ნებას და მამის კეთილ-განწყობა დამეპრუნებინა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შუალამით ქურდივით შევიპარე ჩვენს სასტუმრო ოთახში.

როგორც ველოდი, მიზნის მიღწევის ამგვარი უკიდურესი მე-თოდი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა და დამიტასდა კიდეც. მოგ-ვიანებით მამაჩემი ტოკიოდან დაბრუნდა და ერთხელ, როცა ბავ-შვების ოთახში ვიყავი, მივაყურადე და გავიგონე, დედაჩემს ხმა-მაღლა როგორ ეუბნებოდა:

— საჩუქრების სავაჭრო დახლებთან ჩემი წიგნაკი გადავშალე და რას ვხედავ! აი, ნახე, ამ ადგილას ვიღაცას ლომის ნიღაბი ჩაუ-წერია. ეს არაა ჩემი ხელწერა. რა ხდება-მეთქი, თავიდან ვერაფე-რი გავიგე, მაგრამ კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ იოძომ იცულლუტა რაღაც. რომ ვკითხე, რა გინდა-მეთქი, უხმიდ იდგა და იღრიჭებოდა. მერე კი, როგორც ჩანს, ძალიან მოუნდა ის ლომის ნიღაბი. ეს რა უცხაური ბიჭია! ჯერ თავი მოიკატუნა, ვითომ არა-ფერი სჭირდებოდა, მერე კი ადგა და საკუთარი ხელით ჩამინერა. ასე თუ უნდოდა, საკმარისი იყო, პირდაპირ ეთქვა ჩემთვის. ვიდექი სათამაშოების დახლების წინ და ვიცინოდი. მიდი, იოძოს დაუძახე, სასწრაფოდ მოვიდეს ჩემთან.

ერთხელ ჩვენს დასავლურ ყაიდაზე მოწყობილ ოთახში მოახ-ლეები და მსახურები შევკრიბე. ერთ-ერთ მსახურ ბიჭს დავავალე, არეულად დაეკრა ფორტეპიანოზე (მართალია, სოფელში ვცხოვ-რობდით, მაგრამ ჩვენს სახლში ყველა საჭირო საგანი იყო თავმოყ-რილი), თვითონ კი ამ აბდაუბდა ჰანგებს ვყვებოდი და ინდიელ-